საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 17 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 17 | 20 |
| წერის უნარი | 17 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 14 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 4 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | **88** | **100** |

**სახელი, გვარი:** ირმა გელაშვილი ი. გელაშვილი

**თარიღი:** 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

**ირაკლი ადეიშვილის**

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

**კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:**

**ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები ირაკლი ადეიშვილს ახასიათებენ როგორც პატიოსან, თავმდაბალ, ღირსეულ, კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს შეუძლია აღიაროს საკუთარი შეცდომები თუ სისუსტე, საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენოს იმ დაწესებულების ინტერესები, რომელსაც ემსახურება.

ირაკლი ადეიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

**ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ირაკლი ადეიშვილი დამოუკიდებელი, მედეგი და შეუვალი პიროვნებაა. რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატს შესწევს უნარი გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. ასევე, კანდიდატს შეუძლია მოერიდოს მხარეებთან *ex parte* კომუნიკაციას და მუდმივად ზრუნავდეს ინტერესთა რეალური თუ პოტენციური კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს შესწევს რთული და არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების უნარი, თუ ამას მოითხოვს კანონი და სამართლიანობა.

ირაკლი ადეიშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

**გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა** - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ირაკლი ადეიშვილი კოლეგებთან თუ ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავმდაბალი, თავდაჭერილი და თანმიმდევრული. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი ერიდება ქედმაღლობის, ამპარტავნობის, მედიდურობისა და სიფიცხის გამოვლენას. ერთ-ერთი რეკომენდატორი, კანდიდატის სისუსტედ მიუთითებს, რომ ირაკლი ადეიშვილი საქმიან ურთიერთობაში ზედმეტად ენდობა ადამიანებს.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ირაკლი ადეიშვილის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა დაზარალებულად ცნობილი. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილი იყო მოსარჩელე ერთ სამოქალაქო საქმეში (N27921-15, დავის საგანი - პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმაც.

**დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ირაკლი ადეიშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც საზოგადოებაში, ასევე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ირაკლი ადეიშვილს მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ ადვოკატებიც, რომლებიც სასამართლო პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავენ.

**ე). ფინანსური ვალდებულება** - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ირაკლი ადეიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

**კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:**

**სამართლის ნორმების ცოდნა:** ირაკლი ადეიშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა. კანდიდატმა იმსჯელა დავიწყების უფლების საკითხზე, ბუნებით და პოზიტიურ სამართალზე. ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისთვის, კანდიდატმა განმარტა ტერიტორიულობის პრინციპი. კანდიდატმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუტებზე, მათ შორის განსხვავებაზე. კანდიდატმა განმარტა, რომ როდესაც პირს მისჯილი აქვს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა იმ პირობით, რომ არ ხდება სასჯელის გადასინჯვა/გადახედვა, შეიძლება ეს მიდგომა მივიჩნიოთ არაადამიანურ მოპყრობად. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, გამოვლინდა ხარვეზებიც, კანდიდატი არ იცნობს კარგად სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს სამოსამართლო გამოცდილება, რომელიც შეადგენს 10 წელსა და 4 თვეს. ირაკლი ადეიშვილი ამჟამად იკავებს სს „სილქნეტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტის პოზიციას. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება და განჩინება, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ირაკლი ადეიშვილი სრულყოფილად ფლობს ცოდნას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, იგი ასევე სისტემატურად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

**სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:** კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ირაკლი ადეიშვილს აქვს გადაწყვეტილების დასაბუთებისა და არგუმენტირების კარგი უნარები. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას ეყრდნობა არამხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო პრაქტიკასა და პრეცედენტულ სამართალს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მაგალითად, სექსუალური შევიწროების კონტექსტში კანდიდატმა სწორად აღნიშნა, რომ ინტერნეტ სივრცეც წარმოადგენს საჯარო სივრცეს, რამდენადაც ქმედება არა მხოლოდ მსხვერპლის მიმართ ხორციელდება, არამედ სხვა პირთათვისაც არის აღქმადი. ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატი არგუმენტებს იშველიებდა ეროვნული თუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, რაც მისასალმებელია.

კანდიდატმა ისაუბრა, რომ მოსამართლედ ყოფნისას საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ცხადია, მოსამართლესაც აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ღირსება, პატივი, თუმცა ვერ გავიზიარებ კანდიდატის მოსაზრებას, რომ ,,სამწუხაროდ, ცილისწამება აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული". ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ფასეულობებს.

**წერის უნარი**: ირაკლი ადეიშვილმა წარმოადგინა 4 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 1 სასამართლო განჩინება ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ და 1 სასამართლო გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის შესახებ, 2 სამეცნიერო პუბლიკაცია: ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს აკადემიურად, ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. ირაკლი ადეიშვილი ფლობს წერის მაღალ კულტურას და საჭირო უნარებს. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ირაკლი ადეიშვილი აზრს გადმოსცემს გამართულად და სწორად გრამატიკული თუ სტილისტური თვალსაზრისით.

**ზეპირი კომუნიკაციის უნარი:** კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი. ირაკლი ადეიშვილი საუბრობს აკადემიურად, გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია რთული სამართლებრივი ან თუნდაც ტექნიკური საკითხის მარტივად და ყველასთვის გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარი. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ირაკლი ადეიშვილი ფლობს მოლაპარაკების ხელოვნებას და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს.

**პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:** კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ირაკლი ადეიშვილს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ და ორგანიზებულ პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი თავს კარგად ართმევს დიდი კომპანიებისთვის დამახასიათებელ სტრესულ სამუშაო გარემოს. ასევე, რეკომენდატორის თანახმად, ირაკლი ადეიშვილს შეუძლია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან ირაკლი ადეიშვილი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წელს, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია.

**აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:** ირაკლი ადეიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მედიაციის შესახებ სემინარში, რომელიც გაიმართა დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში.

კანდიდატი 2016 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

კანდიდატი 2018 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით დანიშნული იყო ინგლისისა და უელსის კომერციული სასამართლოს ბიზნესისა და ქონებრივი დავების სასამართლო პალატის სამართლის ექსპერტად. კანდიდატი იყო *Ad hoc* მოსამართლე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არსებითად განხილული შემდეგ საქმეებში: #30097/03 მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ და #25091/07 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ.

1997–1998 წლებში, კანდიდატი სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ქ. ბუდაპეშტი), სადაც მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

**პროფესიული აქტივობა:** პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის სახელშეკრულებო სამართლის სახელმძღვანელო. ამასთან, კანდიდატი ასწავლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატთა განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში. ასევე, კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კითხულობდა ლექციებს სამოსამართლო ეთიკასა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში.

კანდიდატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი. კანდიდატი 2006-2007 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ირაკლი ადეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 88 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28. 05. 2021